პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

14 ივლისი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 135 (9802) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საჭადრაკო „ოსკარი“— მ. ჩიბურდანიძესა და გ. კასპაროვს

**საჭადრაკო** ჟურნალისტების საერთაშორისო გაერთიანებამ (აიპე) მსოფლიო ჩემპიონებს მაია ჩიბურდანიძესა და გარი კასპაროვს 1987 წელს მოპოვებული წარმატებებისთვის „ოსკარის“ პრიზები მიანიჭა.

12 ივლისს ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში მოეწყო პრიზების გადაცემის ცერემონიალი, რომელშიც მონაწილეობდნენ საჭადრაკო პრესის ასოციაციის თავმჯდომარე სვენდ ნოვრუპი, ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) ვიცე-პრეზიდენტი რაფაელ ტუდელა, ესპანეთის ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელები, საჭადრაკო სამყაროს წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

## ქობულეთელი გოგონა „ტურ დე ფრანსში“

**პარიზი.** „ტურ დე ფრანსის“ მერვე ეტაპის შემდეგ (დისტანციაზე პირველი დასავლეთგერმანელი ველოსიპედისტი როლფ ჰოლცი იყო, რომელმაც 219 კილომეტრი 5:24.18-ში დაფარა) ლიდერობა საერთო ჩათვლაში კანადელმა სტივ ბაუერმა დაიბრუნა.

მეცხრე ეტაპი (160,5 კილომეტრი) მოიგო ფრანგმა ჟერომ სიმონმა — 3:47.31, მეათე კი ჰოლანდიელმა ჟან-პოლ პოპელმა. ბაუერმა ფინიშის ხაზი ჯგუფთან ერთად გადაკვეთა და ლიდერის ყვითელი მაისური შეინარჩუნა.

ამასობაში დაიწყო ქალთა „ტურ დე ფრანსიც“. ასპარეზობაში მონაწილეობს საბჭოთა კავშირის გუნდიც, რომლის ღირსებას იცავენ ვოროშილოვგრადელი სვეტლანა როჟკოვა, პანევეჟისელი ლაიმა ზილპორიტე, ქობულეთელი სტელა პრიახინა (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება), ლვოველი თამარ პოლიაკოვა, კუიბიშეველები ნადეჟდა კიბარდინა და ალა იაკოვლევა. ველოსიპედისტმა ქალებმა 1000-მდე კილომეტრი უნდა დაფარონ (ეს დისტანცია 12 ეტაპადაა დაყოფილი).

პროლოგი, რომელიც სტრასბურგში მოეწყო, ჰოლანდიელმა მონიკა ქნოლმა მოიგო. 2 კილომეტრი მან 3.05,4-ში დაფარა. პირველ ეტაპზე კი გამარჯვება იტალიელ მარია კანინს დარჩა (91 კმ — 2:32.11-ში). ასეთივე დრო ჰქონდა მეორე ადგილზე გასულ ჟანი ლონგოს (საფრანგეთი), რომელმაც ხელთ იგდო ლიდერობა. საბჭოთა ველოსიპედისტი სვეტლანა როჟკოვა ჯერჯერობით მეექვსე ადგილზეა.

## სად ვივარჯიშოთ, სად დავისვენოთ, სად ვიასპარეზოთ (16-17 ივლისს)

**თბილისი.** მუშათა I რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები (ფეხბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი). სპორტკლუბების „ივერიის“, „ფეიქრის“, საწარმოო გაერთიანება „გლდანის“ სპორტული ბაზები (11 ს.).

**სოხუმი.** ჯანმრთელობის სპარტაკიადის პროგრამით ჩატარდება აფხაზეთის პროფკავშირთა პირველობა მინიფეხბურთში.

**რუსთავი.** მეტალურგის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. „მეტალურგის“ სტადიონი (10 ს.).

**ზესტაფონი.** „მეტალურგის“ სტადიონი — კროსი, სიმძიმეების აწევა, ბაგირის გადაძალვა, მინიფეხბურთი (11 ს.) ფეროშენადნობთა ქარხნის მუშა-მოსამსახურეები შაორის ტბაზე გაემგზავრებიან.

**ჭიათურა.** გაიმართება შეჯიბრებები ცურვაში, ტყვიის სროლაში, ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში (11 ს.).

**ლაგოდეხი.** აქ ჩატარდება აგრო სამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირების კოლექტივების ფეხბურთელთა რესპუბლიკური ტურნირის ფინალური შეჯიბრება (10 ს.).

## ჭაბუკთა II საკავშირო სპორტული თამაშები

# საქართველოს სპორტსმენთა მონაგარი:

**ბატუტზე ხტომა**

⊙ ოქროს მედლები — რუსუდან ხოფერია, მიხეილ პელივანიდისი (ორივე — ინდივიდუალური პროგრამით), ანა დოლონაძე — ლია ბენდიანიშვილი (სინქრონული ხტომები).

⊙ ვერცხლის მედალი — ანა დოლონაძე (ინდივიდუალური პროგრამა), რუსუდან ხოფერია — ლელა გიგინეიშვილი, მიხეილ პელივანიდისი — ზაზა აბრამიშვილი (ორივე წყვილი პრიზიორია სინქრონულ ხტომებში).

⊙ ბრინჯაოს მედალი — ზაზა აბრამიშვილი (ინდივიდუალური პროგრამა). შვიდივე სპორტსმენი „შრომითი რეზერვების“ წარმომადგენელია.

⊙ პირველი ადგილი — საქართველოს ბატუტისტთა ნაკრები გუნდი („შრომითი რეზერვები“).


რუსუდან ხოფერია.


მიხეილ პელივანიდისი.


ლია ბენდიანიშვილი, ანა დოლონაძე.

## თამაშების დღიური

**ბატუტზე ხტომა** (ვორონეჟი). ასეთი რამ იშვიათად ხდება: ჩვენი რესპუბლიკის ბატუტზე მხტომელებმა თამაშებში 7 მედალი (სამი ოქროს, სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოსი) და გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს. ჩვენმა ნაკრებმა 350 ქულა მოაგროვა და დამაჯერებლად გაუსწრო უკრაინის ნაკრებს, რომელიც 283 ქულით მეორე ადგილზე დარჩა. ბელორუსიის ნაკრებმა მხოლოდ 164 ქულა მოაგროვა და მესამე ადგილზეა.

ვულოცავთ ჩვენს გუნდს და ნაკრების უფროს მწვრთნელს თენგიზ ხუდოევს ამ ბრწყინვალე წარმატებას.

**მაგიდის ჩოგბურთი** (გორკი). ასპარეზობა დამთავრდა. საერთო გუნდურ პირველობაში საქართველოს ნაკრები IX ადგილზე გავიდა. პირველ თამაშებში საქართველოს გუნდი XIV იყო.

**სპორტული ტანვარჯიში** (ვორონეჟი). დასრულდა გოგონების ასპარეზობა. ჩვენი ნაკრები XII ადგილზეა. პირად პირველობაში ჩვენებიდან საუკეთესო შედეგები ჰქონდათ სტელა დავიდოვას (ორძელი) — V, სოფიკო მანაგაძეს (თავისუფალი ვარჯიში) — VI, ლიანა აბდუშელიშვილს (ბჯენითი ხტომები) — VIII

**ფეხბურთი** (ძერჟინსკი). საქართველოს ნაკრებმა წინასწარ შეხვედრებში მეორე მატჩიც მოიგო. ამჯერად მან ყაზახეთის გუნდს აჯობა — 4:1. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ლოკოტკოვმა, ნასუაშვილმა, კვანტალიანმა და გელაძემ.


საქართველოს ბატუტზე მხტომელთა ნაკრები გუნდი.

## ჯანჯღავა წინ მიიწევს

**უჟგოროდში** გრძელდება სსრ კავშირის პროფკავშირული ორგანიზაციის მოჭადრაკე ვაჟთა პირველობა, რომელმაც უნდა დაასახელოს სსრ კავშირის 56-ე ჩემპიონატის I ლიგის ტურნირის 6 მონაწილე. კარგად თამაშობს ჩვენი თანამემამულე, ოსტატი ლაშა ჯანჯღავა. ახლა მას 7 შესაძლებლიდან 4,5 ქულა აქვს და II-VIII ადგილებს იყოფს. 5 ქულით შეჯიბრებას ლიდერობს ბასინი.

### გუნდიდან გაათავისუფლეს

**გუშინ** თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივში გაიმართა კრება. სპორტული მაჩვენებლების დაქვეითებისთვის გუნდიდან გაათავისუფლეს მოთამაშეები კორძაიძე, ფირცხალავა და ტყებუჩავა. რამდენიმე ფეხბურთელი გაფრთხილებულია და მიეცათ კონკრეტული ვადა დასკვნების გამოსატანად.

## ნორჩი ველოსიპედისტები I ადგილზე

### რუსთაველი მოსწავლეების თვალსაჩინო წარმატება

**ნორჩ** ველოსიპედისტთა ტრადიციულ საკავშირო კონკურს-შეჯიბრებაში, რომელიც ტარდება დევიზით „უსაფრთხო რკალი“, პირველად იზეიმეს წარმატება საქართველოს წარგზავნილებმა. წელს ეს მასობრივი შეჯიბრება გაიმართა პენზაში და მასში მონაწილეობდა ქვეყნის 34 ნაკრები კოლექტივი. ჩვენი გუნდი დაკომპლექტებული იყო რუსთავის № 7 საშუალო სკოლის ბაზაზე. გამარჯვებულთა უფროსი მწვრთნელია შესანიშნავი ენთუზიასტი დიმიტრი ბოკუჩავა.



**ჩვენს** ფიზკულტურის ინსტიტუტში წელს სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის შეხვედრისას ახალგაზრდებმა წამოჭრეს საკითხი ინსტიტუტში მრავალტირაჟიანი გაზეთის ან სტუდენტთა შემოქმედებისათვის „ლელოს“ დამატების გამოცემის შესახებ. ეს, ცხადია, იოლად და სწრაფად მოსაგვარებელი საკითხი არ არის, მაგრამ რატომ არ შეიძლება იმის გაკეთება, რაც უშუალოდ ჩვენზეა დამოკიდებული, რაც თავადაც შეგვიძლია! და აი, იმავე შეხვედრაზე გაჩნდა იდეა — დროდადრო „ლელოს“ ფურცლებზე ადგილი დაეთმოს სტუდენტებს, ასე ვთქვათ, დავბეჭდოთ გაზეთი გაზეთში. ფაქტობრივად ეს იქნება სტუდენტური გვერდი, სადაც ფიზკულტურისა და სპორტის მომავალი სპეციალისტები თავის ფიქრებს და აზრებს გაგვიზიარებენ, თავიანთი ჟურნალისტური შემოქმედების ნიმუშებს შემოგვთავაზებენ. „ლელოს“ რედაქცია მზადაა ასეთი თანამშრომლობისათვის. დღეს თქვენს სამსჯავროზე გამოგვაქვს ჩვენი გაზეთის პირველი სტუდენტური გვერდი, რომელსაც სიმბოლურად „ჩაუქი“ ვუწოდეთ.

## მიზანი— სეული

(ჩანახატი)



ზემოთ, ზედ აუზის ჭერთან ქვისაგან გამოთლილ ქანდაკებასავით დგას ჭაბუკი. ტრიბუნები სავსეა, მაგრამ ბუზის გაფრენის ხმასაც კი გაიგონებ, ათასი თვალი მისჩერებია, ზოგი იმედიანი გამოხედვით, ზოგი — შიშითა და დაძაბულობით...

ჭაბუკი აუზის მოპირდაპირე კედლის ერთ წერტილს მისჩერებია, იგი გარეგნულად მშვიდი ჩანს, შინაგანად კი... როგორ შეიძლება მშვიდად იყო, როდესაც იცი, რომ ამ ნახტომზე დამოკიდებულია არა მარტო პირადი, არამედ მთელი გუნდის ხანგრძლივი ძალისხმევის შედეგი. ახლა, მოძრაობის შესრულების წინ, იგი არაფერზე ფიქრობს, გარდა ნახტომისა.

წამის გაელვება და სპორტსმენის მუშტივით შეკრული ტანი ჰაერში ბზრიალებს, მერე თითქოს რაღაცა ძალამ დაამუხრუჭაო, სხეული იშლება, სწორდება და ისარივით კვეთს წყლის სარკეს. სპორტსმენი გრძნობს, რომ ნახტომი „გამოვიდა“, სიღრმიდან ამოტივტივებული მაინც მსაჯებისაკენ იხედება — 10 ქულა!

ასეთი ნახტომებით ალამაზებს ხოლმე წყალში მხტომელთა შეჯიბრებას გიორგი ჩოგოვაძე, მსოფლიოს ერთ-ერთი ტექნიკური და ელეგანტური მხტომელი.

ადვილად არ რგებია ეს წარმატება. ყოველდღიურად 6-7 საათი ვარჯიში, შეკრებები და შეჯიბრებები, გუნდის ინტერესებისათვის დაშავებულიც გამოსულა.

ამიტომაა, რომ წარმატებებს წარმატებები მოსდევს: საკავშირო ჩემპიონატის მედლებს — ევროპის ჩემპიონატის მედლები მიჰყვა, ევროპის ჩემპიონატის ჯილდოებს — ევროპის თასი...

არც ახალი წარმატებაა შორს. სეულის ოლიმპიური თამაშებიდან მისგან მედალს ველით.

**ირინა ბირიუკოვა,**
**I კურსის სტუდენტი.**

იხ. მე-2 გვ.

# სტუდენტური გვერდი (№ 1)

ჩაუქი
ეროვნული

## დამატებითი პროფესიის მადლი

დრომ მოიტანა, რომ სოფლის სკოლაში მომუშავე ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული იქაურ სპორტულ ცხოვრებას წარუძღვეს. მანვე სოფლის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაზე უნდა მიაწოდოს კორესპონდენცია რაიონულ გაზეთს, კომენტარი გაუკეთოს შეჯიბრებას, ან ჩაატაროს ლექცია-საუბარი და თუ საჭირო გახდა, ნორჩ სპორტსმენს პირველი სამედიცინო დახმარებაც აღმოუჩინოს.

ასეთი ფართო პროფილის სპეციალისტის მომზადების საჭიროებამ განაპირობა უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტის შექმნა. 1974 წლიდან საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში გაიხსნა ეს ფაკულტეტი — სპორტული ჟურნალისტიკის, სამედიცინო რეაბილიტაციისა და ლექციური პროპაგანდის განყოფილებებით.

ამ ცამეტი წლის განმავლობაში ბევრმა კურსდამთავრებულმა გამოიჩინა თავი. მათ შეხვდებით რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების, რადიოსა და ტელევიზიის სპორტულ განყოფილებებში, რაიონული გაზეთების რედაქციებში, სანატორიუმებში. თავის ძირითად საქმიანობასთან ერთად ისინი მუშაობენ საზოგადოება „ცოდნის" ლექტორებად. რესპუბლიკის რაიონების გაზეთებში ხშირად იბეჭდება ჩვენი კურსდამთავრებულების გ. ბრეგვაძის (ზესტაფონი), თ. ხინჩლაშვილის (ახმეტა), ქ. ქელეხსაშვილის (რუსთავი), ი. სამსიანის (მესტია), ნ. ჯანგირაშვილის, უ. მიქაბერიძის, გ. გერსამიას, გ. ხომერიკის (თბილისი) კორესპონდენციები; დეკანატმა მიიღო ქობულეთელი ფიზკულტურის მასწავლებლის გ. ჯალაღანიას წერილი, რომლითაც გვამცნობს, რომ დამატებით მუშაობა დაუწყია მე-4 სამმართველოს სანატორიუმში საექიმო რეაბილიტაციის დარგში და საკმაო წარმატებებიც აქვს.

**თინა ქევანიშვილი,**
**საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტის დეკანატის მეთოდისტი.**



**კურსდამთავრებულთა განაწილების კომისიას თავმჯდომარეობს ინსტიტუტის რექტორი ომარ გოგიაშვილი. იგი ესაუბრება კურსდამთავრებულ ნელი პაპუკაშვილს, რომელიც რუსთავის 23-ე საშუალო სკოლაში იგზავნება ფიზკულტურის მასწავლებლად.**

## გზის — დასაწყისი

**რამდენიმე** წუთიც და ინსტიტუტის რექტორის კაბინეტიდან დაიძახებენ: გამიაშვილი, შემოდით!

ფიზკულტურის ინსტიტუტის მწვრთნელთა ფაკულტეტის კურსდამთავრებული, სპორტის ოსტატი ფარიკაობაში ჯემალ გამიაშვილი კი მოსაცდელში დგას და ფიქრებს წაუღია. მან უკვე იცის სამუშაოდ რა ადგილსაც შესთავაზებენ. კომისიამ გაითვალისწინა, რომ იგი თბილისელია და ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების საფარიკაო სპორტულ სკოლაში გაანაწილა. მადლობის მეტი რა ეთქმის, 50 მანეთი ხელფასი რომ არ აღელვებდეს: მშობლები მოხუცდნენ, ასეც არ იყოს, როდემდე იქნება მათ კმაყოფაზე?! ინსტიტუტს დავამთავრებო და... ოჯახის შექმნაზეც ოცნებობდა...

ფიქრებით მეგობრებს გადაწვდა: გელა ბაბაკიშვილს და დიად გერსამიას 90 მანეთი ექნებათ, მერაბ სურმავას 85, დავით საგინაშვილს — 95 მანეთი, მან ჯერ კიდევ სტუდენტმა მოიყვანა ცოლი, ახლა მეორე შვილს ელოდება. მეუღლე და პირველი შვილი მშობლებთან ცხოვრობენ მცხეთაში, მეორე შვილიც ალბათ დიდხანს იქნება ახალგაზრდა სპეციალისტის მშობლების საპატრონო.

— გამიაშვილი, შემოდით! — დაიძახა კაბინეტიდან გამოსულმა ლაბორანტმა. ჯემალი ფიქრებიდან გამოერკვა, რატომღაც რუსთაველის სიტყვები გაახსენდა: „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა". მეგობარი — რამაზ ლაშქარავა, რომელიც 90 მანეთიან სამსახურში გაანაწილეს, ანუგეშა, რა სახე ჩამოგტირის, ჯერ ჩვენში შიმშილით არავინ მომკვდარაო და მორიდებით შეაღო კაბინეტის კარი, საიდანაც იწყებოდა დიდი ცხოვრების რთული, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი იმედით განათებული გზა!

**თამარ მაჭარაშვილი,**
**ინსტიტუტის IV კურსის ფრიადოსანი სტუდენტი, საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტის სპორტული ჟურნალისტიკის კურსდამთავრებული.**

## ...იმედი ხვალის

რამდენიმე წელია, რაც ტარდება სტუდენტთა საკავშირო ოლიმპიადა დევიზით „სტუდენტი და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი". იგი მიზნად ისახავს უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გააქტიურებას, სტუდენტთა შემოქმედებითი საქმიანობის წახალისებას, სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ამაღლებას და ა. შ.

ოლიმპიადა ტარდება „ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის" საგანშიც, სადაც სტუდენტები ერთმანეთს ეჯიბრებიან როგორც თეორიულ ცოდნაში, ისე სასწავლო-საწვრთნელი მეცადინეობის ჩატარების პედაგოგიური უნარ-ჩვევების გამოვლენაში.

სტუდენტებისთვის ფიზიკური აღზრდის თეორიასა და მეთოდიკაში თავის გამოჩენა არც თუ იოლი საქმეა, რადგან ეს საგანი დაკავშირებულია მეცნიერების ბევრ დარგთან, მრავალ თეორიულ, პრაქტიკულ დისციპლინასთან და დიდ ერუდიციასა და საზრიანობას მოითხოვს.

ოლიმპიადა 3 ტურად ტარდება: I — საინსტიტუტო, II — რესპუბლიკური, III—საკავშირო. მესამე ტურში მონაწილეობას იღებენ მოძმე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტების წარმომადგენლები.

წელს, 12-14 მაისს საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში ჩატარდა ოლიმპიადის II ტური, რომელშიც ჩვენი ინსტიტუტის სტუდენტების გარდა, მონაწილეობდნენ რესპუბლიკის იმ უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტებიც, სადაც ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტები ფუნქციონირებს.

დებულების თანახმად, კონკურსი 3 ეტაპად ჩატარდა: სტუდენტები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თეორიულ და მეთოდურ ცოდნაში, პროფესიულ-პედაგოგიურ მომზადებაში. ეს უკანასკნელი, III ეტაპად ჩატარდა 165-ე საშუალო სკოლის ბაზაზე.

უნდა ითქვას, რომ დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა ჩვენი ინსტიტუტის, აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებს შორის. როგორც ჟიურის თავმჯდომარემ, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის გამგემ გიული კახიძემ აღნიშნა, ოლიმპიადის ყველა მონაწილე დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა საქმეს და წარმატებით იცავდა თავისი უმაღლესი სასწავლებლის ღირსებას. სტუდენტებმა გამოავლინეს შემოქმედებითი აქტიურობა და სამაგალითო ცოდნა.

გაგაცნობთ II, რესპუბლიკური ტურის შედეგებს: პირადი პირველობა — 1. ა. საჩკოვი, 2. ა. ცეები, 3. ნ. ქარდავა (სამივე — საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი).

გუნდური პირველობა: 1. საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი, 2. აფხაზეთის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 3. თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

**ნანა ქარდავა,**
**III კურსის სტუდენტი.**

## გელით საკავშირო სარბიელი

**რამდენიმე** დღეა, რაც დამთავრდა სტუდენტთა ზაფხულის სპორტული თამაშები — უნივერსიადა-88, რომელშიც საქართველოს ყველა (19) უმაღლესმა სასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა. ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრებმა გუნდებმა პროგრამით გათვალისწინებული 32 სახეობიდან მონაწილეობა მიიღეს 28 სახეობაში და აქედან 19 — პირველი, 5 — მეორე და 2 — მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მოფარიკავეებმა, მოცურავეებმა, ნიჩბოსნებმა, ტანმოვარჯიშეებმა და მოჭიდავეებმა.

საკავშირო „უნივერსიადა-88"-ის ფინალური შეჯიბრებები ჩატარდება წელს აგვისტოში ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში. მასში მონაწილეობას მიიღებენ ცალკეულ სახეობებში გამარჯვებული სპორტული კლუბები და რესპუბლიკის სტუდენტთა ნაკრები გუნდები.

ჩვენმა ინსტიტუტმა უფლება მოიპოვა მონაწილეობა მიიღოს (ცალკე გუნდად) სპორტის 14 სახეობაში. ესენია: ფარიკაობა, ხელბურთი (ვაჟები), კლასიკური ჭიდაობა, ფრენბურთი (ვაჟები), ფრენბურთი (ქალები), სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, ძიუდო (ვაჟები), საგზატკეცილო ველორბოლა, ძალოსნობა, კრივი, აკადემიური ნიჩბოსნობა, საბაიდარო ნიჩბოსნობა, ცურვა.

წარმატებას ვუსურვებთ ჩვენს წარგზავნილებს.

**ქეთევან აბაშიძე,**
**II კურსის სტუდენტი.**



**სტუდენტთა სამეცნიერო ლაბორატორიაში კონსულტაციას ატარებს ფიზიოლოგიის კათედრის დოცენტი დურმიშხან ჩიტაშვილი.**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

## ტურიზმი — ჩვენი მეგობარი!

ვიცოდით, რომ ინსტიტუტის პედაგოგთა ტურისტული ჯგუფი ყოველ კვირადღეს ჩვენი დედაქალაქის ლამაზი შემოგარენის სტუმარი იყო, ისიც ვიცოდით, რომ ამ ჯგუფის ხელმძღვანელობა ფართოდ უხსნიდა კარს სტუდენტობასაც და, აი, ერთ დღეს ჩვენც გამოვცხადდით მათი ლაშქრობის სტარტზე. ლაშქრობის ხელმძღვანელმა ა. ციბაძემ მოგვიწონა გადაწყვეტილება და იმ დღიდან პედაგოგებთან ერთად ვახმიანებდით ტურისტულ ბილიკებს კოჯრის, ვერისწყლის ხეობის, ნახშირგორის, ღვთაების მონასტრის, ვეჯინის, კარსანისა თუ მცხეთის მიდამოებში.

არ ვაჭარბებთ, ტურისტულ ჯგუფში ჩვენი სიარულის ორწლიანმა პრაქტიკამ იმდენი შეგვმატა, რისი მოცემაც არავითარ ლექციასა თუ სემინარს არ შეუძლია. თავად განსაჯეთ: ჩვენ უკვე საფუძვლიანად შევისწავლეთ თბილისის გარეუბნების ყველა ძეგლის ისტორია, ყოველ კვირადღეს ვისმენდით გამოცდილი და ცნობილი პედაგოგ-მეცნიერების ვლ. ნორაკიძის, დ. ჯოხაძის, შ. ნადირაშვილის, ბ. კარტოზიას, შ. ბუაძის, რ. კერესელიძის, ბ. მირიანაშვილის, ჯ. ფირცხალავას და სხვათა საუბრებს. ერთი სიტყვით, ყოველი ლაშქრობიდან ცოდნაგამდიდრებული ვბრუნდებოდით, აღარაფერს ვამბობთ ჯანმრთელობის გაკაჟებასა და საერთო ფიზიკურ განვითარებაზე, რაც თავისთავად სპორტულ დახელოვნებაში გვიწყობს ხელს.

**ბაკურ შოშიაშვილი,**
**გელა ცქიტიშვილი,**
**ზაზა ლოლაძე,**
**საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტის სპორტული ჟურნალისტიკის განყოფილების II კურსის სტუდენტები.**

## მეცნიერების სამსახურში

**ორ** წელზე ცოტა მეტი გავიდა, რაც საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრასთან სტუდენტთა სამეცნიერო ლაბორატორია (მეცნიერი-კონსულტანტი დოცენტი დ. ჩიტაშვილი) ჩამოყალიბდა, რომელიც დაარსების პირველი დღიდან საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს. ლაბორატორიაში გაერთიანებულია 30-მდე სტუდენტი, 4 მაძიებელი და ორი ასპირანტი. ჯერჯერობით ლაბორატორიის სასწავლო-ტექნიკური ბაზა საშუალებას არ იძლევა უფრო მეტი სტუდენტი ჩაება სამეცნიერო მუშაობაში. სტუდენტთა სამეცნიერო თემატიკა დაკავშირებულია კათედრების სამუშაო გეგმასთან. სტუდენტის მიერ შესრულებული თემის პირველი განხილვა ლაბორატორიის თანამშრომელთა სხდომაზე ხდება.

სტუდენტთა სამეცნიერო ლაბორატორიაში მომზადებულმა თემებმა უკვე მიიქციეს სპეციალისტთა ყურადღება. მაგალითად, 1987 წელს გ. ჩაჩანიძის მიერ შესრულებულმა ნაშრომმა ფიზკულტურის ინსტიტუტების საკავშირო ოლიმპიადაზე პირველი ადგილი მოიპოვა. რესპუბლიკურ კონფერენციაზე საპრიზო ადგილები დაიკავეს გ. ჩოხელის, ა. საჩკოვის, ზ. ხორგუანის მოხსენებებმა.

— მომავალი წლიდან, — ამბობს დ. ჩიტაშვილი, — სტუდენტთა ლაბორატორიაში მუშაობის უფლება ექნებათ მხოლოდ ინსტიტუტთან არსებულ ბავშვთა სპორტულ სკოლაში და საშეფო ჯგუფებთან მომუშავე სტუდენტებს, აგრეთვე მათ, ვისაც სამეცნიერო მუშაობისადმი მიდრეკილება და ტექნიკური საშუალებების გამოყენების უნარი აღმოაჩნდება. ამავე დროს ლაბორატორია ყოველთვის ღია იქნება ასპირანტებისა და მაძიებელთათვის.

ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით სტუდენტთა ლაბორატორიის თანამშრომლები სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებას გეგმავენ.

**მირანდა ქირია,**
**ფიქრია ბრიგოლიშვილი,**
**საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტის სპორტული ჟურნალისტიკის II კურსის სტუდენტები.**

## შეიქმნა სტუდენტური დეკანატი

**მწვრთნელთა** ფაკულტეტის საერთო კრებაზე, სადაც პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად 150-ზე მეტი სტუდენტი ესწრებოდა, დღის წესრიგში ერთი საკითხი იდგა — თებერვლის პლენუმის მასალები უმაღლეს სკოლაში სწავლების გარდაქმნის შესახებ. აღინიშნა, რომ სექტემბრიდან არსებობს სტუდენტთა თვითმმართველობის ჯგუფი, რომელიც საქმიან დახმარებას უწევს დეკანატს. საერთო კრება მოწონებით შეხვდა დეკანის წინადადებას ფაკულტეტზე შექმნილიყო სტუდენტური დეკანატი, რომელიც მხარში ამოუდგებოდა ინსტიტუტის ხელმძღვანელობას. მოეწყო არჩევნები. დეკანის მოვალეობის შემსრულებლად დაასახელეს II კურსის ფრიადოსანი სტუდენტი ფ. გრიგოლიშვილი, დანარჩენი 4 წევრი კი მოადგილეებად, რომლებიც სხვადასხვა სექტორებს უხელმძღვანელებენ.

ორ თვეზე მეტია, რაც სტუდენტური დეკანატი ჩამოყალიბდა. კურსდამთავრებულთა სამუშაოზე განაწილება, 15 სპორტული ღონისძიების ჩატარება, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ჩატარებაში ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა, 4 შაბათობა, რამდენიმე კოლექტიური სტუმრობა თეატრში, სტუდენტთა ლექცია-სემინარებზე დასწრების კონტროლის სისტემის შექმნა, ბავშვიანი დედებისათვის დახმარების აღმოჩენა და სხვ. აი ის, რისი გაკეთებაც სტუდენტურმა დეკანატმა მოკლე დროში მოასწრო.

**გია აჯნაურაშვილი,**
**II კურსის სტუდენტი, კომკავშირის სახელობის სტიპენდიატი.**

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა

**12 ივლისს** გაიმართა სსრ კავშირის 1988 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის I წრის ბოლო შეხვედრები. უმაღლესი ლიგის გუნდების უმრავლესობამ გათამაშების ეკვატორს მიაღწია, მაგრამ დარჩა თითო-ოროლა გადმოტანილი მატჩი, რომლებიც სარეზერვო დღეებში ჩატარდება. ამ გადატანილი მატჩების რიცხვში შედის თბილისისა და კიევის დინამოელთა თამაშიც, რომელიც 8 სექტემბერს შედგება თბილისში.

**„კაირატი" (ალმა-ათა) — „დინამო" (თბილისი) 2:0 (0:0)**

**ალმა-ათა. ცენტრალური სტადიონი. 12 ივლისი.**

**„კაირატი": ჩეკმეზოვი, ტიმოფეევი, ჯუმანოვი, რაფიკოვი, ვოლგინი, კარაჩუნი, ივანოვი, ლედოვსკიხი, სალიმოვი, მახუდოვი (სუროვიკინი, 79), ნაიდოვსკი (ოგაი, 70).**

**„დინამო": გაბელია, ცხადაძე, გ. ჯიშკარიანი, ჩედია, არჩიანი, ტყებუჩავა (ფანცულაია, 72), ხვანაძე, სულაქველიძე, ქეცბაია (აფციაური,46), გურული, კორძაიძე.**

**მსაჯი ა. ხოხრიაკოვი (იოშკარ-ოლა).**

**გააფრთხილეს გ. ჯიშკარიანი, მინდვრიდან გააძევეს სულაქველიძე და ჯუმანოვი.**

**დუბლიორები — 3:3. დინამოელთაგან ბურთები გაიტანეს მესხმა, აფციაურმა, მინაშვილმა.**

უმაღლეს ლიგაში ახლა ოთხი მკვეთრად გამოხატული აუტსაიდერია: ალმა-ათის „კაირატი", თბილისის „დინამო", ბაქოს „ნეფთჩი" და დონეცკის „შახტიორი". თბილისელებს 12 ივლისისათვის 8 ქულა ჰქონდათ, ალმაათელებს —5. „დინამოს" რომ ეს მატჩი მოეგო, მას 10 ქულა ექნებოდა და თავის უშუალო პრეტენდენტსაც უკვე 5 ქულით ჩამოიტოვებდა უკან, ეს კი ერთი მთავარი მეტოქის თავიდან მოცილებას ნიშნავდა, მაგრამ გაიმარჯვა „კაირატმა", თანაც გაიმარჯვა სავსებით დამსახურებულად, დამაჯერებელი ანგარიშით და ეს გუნდი ახლა მხოლოდ მინიმალური სხვაობით მოგვდევს კვალში, ამდენად ბრძოლა კონკურენტებს შორის თავიდან იწყება. შესაძლოა, სპორტული თვალსაზრისით ეს ფრიად აზარტული და საინტერესო ჭიშპობაა აუტსაიდერთა შორის, მაგრამ ამგვარი აზარტი მაშინაა კარგი, როცა იგი შენს სასარგებლოდ დამთავრდება, ახლა კი, როცა უმაღლეს ლიგასთან განშორების საკითხი წყდება, სააზარტოდ და სარისკოდ არ უნდა გავიხადოთ საქმე.

აუტსაიდერთა მატჩები ჩვეულებრივ არ გამოირჩევა ხოლმე სანახაობრიობით, მაგრამ დაძაბულობა მათ მუდამ თან ახლავს. ასეთი იყო დინამოელთა შეხვედრა „კაირატთან", მაგრამ ამ მაქსიმალური დაძაბულობის დასასრულს გამოირკვა, რომ ალმაათელი ფეხბურთელები უკეთ იყვნენ მომზადებული მატჩისათვის, მათ თავიანთ მეტოქეზე გაცილებით მეტი ენერგია დახარჯეს, შესაბამისი საბრძოლო თვისებები და ნებისყოფა გამოიჩინეს, თბილისის დინამოელებმა კი კიდევ ერთხელ ცხადყვეს თავიანთი ტექნიკურ-ტაქტიკური მოუმზადებლობა, ფიზიკური სისუსტე და საბრძოლო თვისებათა დეფიციტი. ამ მატჩში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა უმეტესობის თამაშის კლასი საგრძნობლად ჩამორჩება უმაღლესი ლიგის დაწერილ თუ დაუწერელ მოთხოვნებს.

მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში დინამოელები მხოლოდ იცავდნენ თავს და მეტოქის კართან ერთი-ორი სახიფათო მომენტი თუ შექმნეს. ჩვენი გუნდის სამოქმედო სქემაში თითქმის არ იყვნენ მოიერიშე თავდამსხმელები, ყველაფერი იზღუდებოდა შუა მინდორზე და შეტევისას მხოლოდ შემთხვევით თუ მოხვდებოდა ვინმე სახიფათო სიტუაციაში. იმის ვარაუდით ქულა რომ აგვეღო, დაცვითმა ტენდენციებმა არ გაამართლა და როგორც წინა შეხვედრებში, დინამოელი ფეხბურთელები დაიღალნენ, თანდათან მოუკლეს ბრძოლას, შემდეგ საერთოდაც შეწყვიტეს აქტიური წინააღმდეგობა, და მატჩის დასასრულს ორი უპასუხო ბურთიც მიიღეს.

კიდევ უფრო სუსტად ითამაშეს ჩვენმა ფეხბურთელებმა მეორე ტაიმში. საბოლოოდ კი საქმე იმით დამთავრდა, რომ „კაირატმა" თავისი დიდი ტერიტორიული უპირატესობის რეალიზაცია მოახდინა. განუწყვეტელი იერიშების შემდეგ, 70-ე წუთზე სალიმოვმა პირველი ბურთი გაიტანა, ხოლო 87-ე წუთზე ვოლგინმა მეორედ აიღო გაბელიას კარი.

თბილისის „დინამოს" თამაში ამ დღეს საფეხბურთო შეცდომათა ერთგვარი კომპლექსური ნიმუში გახლდათ. არავითარი ტემპი ან სწრაფი მანევრი, არც ერთი ინიციატორი, სრული ქაოსი, ფეხბურთელები მოძრაობდნენ ნელა, ზარმაცად, ეს იყო წინააღმდეგობის გაწევის სიმბოლური ცდები, რომელსაც, რასაკვირველია, სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. მოედანზე იყო ერთი მებრძოლი მხარე — „კაირატი", რომლის სწრაფვას და გამარჯვების რწმენას თბილისის „დინამომ", სამწუხაროდ, ვერაფერი დაუპირისპირა.

ერთი სიტყვით, წავაგეთ ძალზე დიდი მნიშვნელობის მატჩი, რომლის შედეგი ჩვენთვის გადამწყვეტი იყო. როცა ვლაპარაკობთ ფეხბურთელის ოსტატობის დონეზე, მის კლასზე, უნდა ვაღიაროთ, რომ თუ ფეხბურთელმა არ იცის თამაში, თუ მისი კვალიფიკაცია ჩამორჩება მეტოქისას, აქ ვერაფერს გააწყობ. ძლიერი დაამარცხებს სუსტს. მაგრამ რაც შეეხება ფეხბურთელის მონდომებას, საბრძოლო თვისებებს, თავგამოდებას, ნებისყოფის სიმტკიცეს, აქ კი, ნება მოგვეცით, ჩვენი სამართლიანი პრეტენზიები წავუყენოთ დინამოელ ფეხბურთელებს. არსებობს ინდივიდუალური მონდომება, არსებობს კოლექტიური მობილიზება, არსებობს კონკრეტულ შემთხვევაში შექმნილი ვითარების შესაბამისი თავგანწირული თამაში და როცა ამ თვისებებს არ გამოიჩენ, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ბევრჯერ (თბილისის დინამოელებმა კი უკვე 10 მატჩი წააგეს), სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ გუნდი არ არის განწყობილი საბრძოლველად, მას მიზნად არა აქვს დასახული უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება. ბოლო ორი სეზონია აშკარად ჩანს, რომ ჩვენი ფეხბურთელების უმეტესობას სასხვათაშორისოდ მიაჩნია უმაღლეს ლიგაში ყოფნა-არყოფნის საკითხი, ამიტომაც გულცივად, სრული ინდიფერენტულობით, გულგრილად განწყობილნი გამოდიან მინდორზე.

ანდა ავიღოთ დისციპლინის საკითხი. ამ გაჭირვების ჟამს, როცა ჰორიზონტზე ასე ნათლად ჩანს I ლიგის კონტურები, თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები არად მიიჩნევენ წესრიგის დარღვევას. ვის აღარა აქვს გაფრთხილება, „კაირატთან" მატჩი 2 გაფრთხილების გამო გამოტოვა ცვეიბამ, შემდგომ მატჩს ამავე მიზეზით ვერ ითამაშებს გ. ჯიშკარიანი, როგორც ალმა-ათიდან გვაცნობეს, თავშეუკავებლობის გამო მინდორი დაატოვებინეს სულაქველიძეს და ახლა, როცა გუნდი ასეთ ყოფაშია, მისი წამყვანი მოთამაშეებიც კი გვეცლებიან ხელიდან.

განა ამას შეიძლება საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება ვუწოდოთ? ეტყობა, თბილისის „დინამოს" ზოგიერთი ფეხბურთელისთვის ახლა სულ ერთია გამოვა თუ არა იგი მინდორზე თავისი გუნდის ძნელბედობის დღეებში.

თბილისის „დინამო" ახლა მეტად საპატიო ამოცანის წინაშე დგას. ისე, როგორც ოდესღაც ძველი თაობის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ ჩემპიონობის ან თასის მოპოვების საპატიო ამოცანის წინაშე. სადღეისოდ შექმნილ ვითარებაში ჩვენი გუნდის ჩემპიონობაც, თასიც და მაღალი ჯილდოც ეს უმაღლეს ლიგაში დარჩენაა.

საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველ მატჩს თბილისის „დინამო" 31 ივლისს საკუთარ მინდორზე მოსკოვის „სპარტაკთან" ჩაატარებს.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 14 ივლისისთვის (ძირითადი შემადგენლობანი)**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ: |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 14 | 10 | 3 | 1 | 22-5 | 23 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 15 | 7 | 7 | 1 | 18-9 | 21 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 13 | 7 | 5 | 1 | 20-11 | 19 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 15 | 7 | 4 | 4 | 17-14 | 18 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 14 | 7 | 3 | 4 | 24-19 | 17 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 14 | 6 | 5 | 3 | 19-15 | 17 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 15 | 7 | 1 | 7 | 12-15 | 15 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 14 | 6 | 3 | 5 | 16-13 | 15 |
| „არარატი" (ერევანი) | 15 | 5 | 4 | 6 | 10-13 | 14 |
| „მეტალისტი" (ხარკოვი) | 15 | 4 | 6 | 5 | 14-18 | 14 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 15 | 5 | 3 | 7 | 17-20 | 13 |
| „დინამო" (მინსკი) | 15 | 3 | 6 | 6 | 12-15 | 12 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 14 | 3 | 4 | 7 | 9-14 | 10 |
| „ნეფთჩი" (ბაქო) | 15 | 4 | 1 | 10 | 14-23 | 9 |
| „დინამო" (თბილისი) | 14 | 4 | 0 | 10 | 16-24 | 8 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 15 | 3 | 1 | 11 | 12-24 | 7 |

* * *

12 და 13 ივლისს გაიმართა უმაღლესი ლიგის საფეხბურთო ჩემპიონატის მე-15 ტურის მატჩები:

**„შახტიორი" — „ზენიტი" 1:0**

**„დნეპრი" — „ლოკომოტივი" 2:1**

**„ჩერნომორეცი" — „დინამო" მნ 0:0**

**„მეტალისტი" — „არარატი" 1:2**

**„დინამო" მ. — „დინამო" კ 1:2**

**„სპარტაკი" — „ჟალგირისი" 1:1.**

### II ლიგა

გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის მატჩები. „დინამო" (მახარაძე) — „ლოკომოტივი"-ომც (თბილისი) 3:0, „ტორპედო" (ვოლჟსკი) — „გორიაზანი" (ყაზახი) 3:1, „ატომმაში" (ვოლგოდონსკი) — „ქიაფაზი" (კიროვაბადი) 2:1, „ლოკომოტივი" (მინ. წყლები) — „ტექსტილშჩიკი" (კამიშინი) 0:0.

**გათამაშების ცხრილი**

**IX ზონა**

**მდგომარეობა 14 ივლისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სოკოლი" | 12 | 8 | 3 | 1 | 27-14 | 19 |
| „ტორპედო" ქ. | 11 | 8 | 2 | 1 | 19-9 | 18 |
| „მეტალურგი" | 12 | 8 | 1 | 3 | 27-16 | 17 |
| „თერგი" | 13 | 7 | 1 | 5 | 23-14 | 15 |
| „ატომმაში" | 13 | 6 | 3 | 4 | 20-11 | 15 |
| „შევარდ."-სპი | 12 | 6 | 3 | 3 | 20-14 | 15 |
| „ქიაფაზი" | 11 | 6 | 1 | 4 | 23-12 | 13 |
| „დინამო" | 13 | 6 | 1 | 6 | 20-19 | 13 |
| „დილა" | 11 | 5 | 1 | 5 | 18-22 | 11 |
| „ლოკ." (მინ. წ.) | 12 | 3 | 4 | 5 | 14-16 | 10 |
| „ტექსტილშჩ." | 12 | 3 | 4 | 5 | 10-13 | 10 |
| „გორიაზანი" | 11 | 3 | 3 | 5 | 13-16 | 9 |
| „ხაზარი" | 9 | 3 | 2 | 4 | 10-14 | 8 |
| „ტორპედო" ვ. | 13 | 3 | 1 | 9 | 13-25 | 7 |
| „ბაკინეცი" | 9 | 1 | 1 | 7 | 3-22 | 3 |
| „ლოკომ."-ომც | 12 | 2 | 1 | 10 | 12-35 | 3 |

## „ტყავის ბურთის" პრიზზე

ქუთაისში დამთავრდა რესპუბლიკური პირველობა „ტყავის ბურთის" პრიზზე 1971-72 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის. ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ წულუკიძის „ხონი"-88 და ოჩამჩირის „გუანდრა". საინტერესო ბრძოლა წულუკიძელთა გამარჯვებით დამთავრდა — 2:0, ბურთები გაიტანეს კ. მუშკუდიანმა და კ. ფანცულაიამ.

III-IV ადგილებისთვის ბრძოლაში ვანელებმა სძლიეს თბილისის გუნდს (4:2) და საპატიო მესამე ადგილს დაეუფლნენ.

ამრიგად, პირველი ადგილი და საკავშირო პირველობაზე მონაწილეობის უფლება მოიპოვა წულუკიძის „ხონი"-88-მ. გუნდი დაჯილდოვდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის თასით, ოქროს მედლებით და საპატიო სიგელებით.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და ქუთაისის საბინაო მეურნეობის ტრესტის მიერ დაწესებული პრიზები გადაეცათ ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებს.

# ისევ ორიანი

მსუყე „ორიანი" გამოუყვანა გამსინჯავმა კომისიამ მოსკოვისა და კიევის დინამოელთა საფეხბურთო მატჩის არბიტრს ვ. მიმინოშვილს.

ისეთი ვნებათაღელვანი, როგორიც იმ დღეს მოსკოვის „დინამოს" სტადიონის ტრიბუნებზე სუფევდა, ჯერ არ მინახავს. მილიციის ორი მაიორი გულდაგულ დარაჯობდა ოთახს, სადაც სპრინტერული სიჩქარით შეაფარეს თავი მატჩის მსაჯებმა. შემდეგ, როცა გულშემატკივრები უკვე დაიშალნენ, ერთ-ერთმა წესრიგის დამცველმა სტადიონის ადმინისტრატორს ჰკითხა: „როგორ გამოვიყვანოთ ოთახიდან მსაჯები?".

მხოლოდ მოსკოვის „დინამოს" გუნდის უფროსმა ნ. ტოლსტიხმა გაჭირვებით გააღწია მსაჯებთან, მიიწვია ისინი გუნდის გასახდელში, სადაც კიდევ და კიდევ აჩვენებდნენ თამაშის მომენტებს, არბიტრის შეცდომები ცხადი იყო, საკმარისია დავასახელოთ მომენტი, როცა მან აშკარა პენალტი არ დანიშნა სტუმრების კარში კარატაევის წაქცევისთვის. სხვა შემთხვევებში მსაჯი ვალდებული იყო ყვითელი ბარათი ეჩვენებინა როგორც სტუმრების, ისე მასპინძლებისთვის. მისი ლიბერალიზმის პირდაპირი შედეგი იყო ის, რომ მეტოქეები აშკარად უხეშობდნენ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მოსკოველი ბულანოვი და კიეველი მიხაილიჩენკო მუშტი-კრივით აპირებდნენ ურთიერთობის გარკვევას, თუ გავითვალისწინებთ, რომ წვიმის შემდეგ მინდორი სათამაშოდ ძნელი იყო, შესაძლოა ფეხბურთელებს მძიმე ტრავმები მიეღოთ, ორივე გუნდში კი წამყვანი ფეხბურთელები გამოდიოდნენ, სწორედ ისინი, ვისაც თამაში მოუწევთ 1988 წლის ოლიმპიადაზე და 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში.

გამსინჯავ კომისიას დიდი ხნის თათბირი არ დასჭირდა, რათა არბიტრისთვის შეფასება გამოეტანა. ბუნებრივია, ჟურნალისტებს სურდათ გაეგოთ საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის პ. კაზაკოვის აზრიც, რომელიც ამ მატჩის ინსპექტორი იყო, მაგრამ სტადიონზე მისი ნახვა არ მოხერხდა. მხოლოდ მეორე დღეს გამოვარკვიე, ის, რომ მან ფეხბურთის საკავშირო ფედერაციას შეატყობინა, მანქანა გვირაბში გაეჩხირა და ამიტომაც ვერ მოვედიო მატჩზე. სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა პ. კაზაკოვი არ ცხადდება საინსპექტოროდ. სულ ახლახან იგი ერთი თვით იყო დისკვალიფიცირებული მსგავსი დარღვევისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ მსაჯთა საკავშირო კოლეგიის შემადგენლობა შეიცვალა, არბიტრები კვლავ უხეშ შეცდომებს უშვებენ. მიმინოშვილის გარდა საკავშირო ჩემპიონატის მატჩები ძალზე სუსტად ჩაატარეს ერევნელმა პ. ბალიანმა და ლენინგრადელმა ნ. ლევნიკოვმა.

როგორც საკუთარ კორესპონდენტს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მდივანმა ა. პარამონოვმა შეატყობინა, უხეში შეცდომებისთვის პ. ბალიანი და ვ. მიმინოშვილი გადაყენებულები არიან საკავშირო შეჯიბრებათა მსაჯობიდან, ხოლო მსაჯთა კოლეგიას (თავმჯდომარე ა. სპირინი) მიეთითა, რომ საჭიროა ზომების მიღება მსაჯობის ხარისხის ასამაღლებლად.

**ა. ლევინსონი.**
**(საკდესი).**

### საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XIX ტურის შეხვედრები.

**„სპარტაკი" (ცხინვალი) — „მალაროელი" (ჭიათურა) 3:2. მსაჯი მ. გარნოვსკი (სამტრედია).** გოლები: მარდიევი, ვ. ხუბეჯიშვილი, გ. ხუბეჯიშვილი („სპარტაკი"), ბრეგვაძე, სევასტოპულო („მალაროელი").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს მ. კიპაროიძე („მალაროელი") და მ. სანაკოევი („სპარტაკი").

**„ბახტრიონი" (ახმეტა) — „სულორი" (ვანი) 1:1. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი).** გოლები: თიგიშვილი („ბახტრიონი"), ორმოცაძე („სულორი").

**„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „მადნეული" (ბოლნისი) 1:0. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).** გოლი: ციმაკურიძე („სამეგრელო").

მსაჯის სასტვენის შემდეგ ბურთის განზრახ გადაგდებისთვის გააფრთხილეს ზ. გრძელიშვილი და ბეს. უგულავა („მადნეული"), ხოლო უხეში თამაშისთვის — მ. ახალაია („სამეგრელო").

**„მეშახტე" (ტყიბული) — „სქური" (წალენჯიხა) 3:2. მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი).** გოლები: წერეთელი, არსენიძე, კალატოზი („მეშახტე"), ჩიკინიოვი, კვირტია („სქური").

**„არმაზი" (მცხეთა) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 2:0. მსაჯი თ. ხადილიანი (თბილისი).** გოლები: ფირანაშვილი, იორამაშვილი („არმაზი").

**„ივერია" (ხაშური) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 1:1. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლები: კურტანიძე („ივერია"), ახვლედიანი („საპოვნელა").

**„დურუჯი" (ყვარელი) — „დინამო" (ზუგდიდი) 1:1. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).** გოლები: მინდიაშვილი („დურუჯი"), ჯიქია („დინამო").

**„ქართლი" (გორის რ-ნი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 2:3. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: ნოზაძე, წკრიალაშვილი („ქართლი"), კიკალეიშვილი-3 („ეგრისი").

განზრახ ხელით თამაშისთვის გააფრთხილეს „ეგრისის" მოთამაშე გ. ჯეჯელავა. მსაჯთან კამათისა და უცენზურო სიტყვების ხმარებისთვის მინდვრიდან გააძევეს გ. ხვიჩია („ეგრისი").

**„ამირანი" (ოჩამჩირე) — „კოლხეთი" (ხობი) 1:1. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).** გოლები: გუჩუა („ამირანი"), მელია („კოლხეთი").

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ოჩამჩირელი ზ. ლურწკაია, ხოლო ერთმანეთთან კინკლაობისთვის — კ. აფანდაპულო („ამირანი") და პ. გაბრავა („კოლხეთი").

**„შადრევანი" (წყალტუბო) — „დინამო" (გაგრა) 1:0. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლი: გვაძაბია („შადრევანი").

**XX ტურის მსაჯთა რეესტრი**

„საპოვნელა" (თერჯოლა) — „სპარტაკი" (ცხინვალი). **ზ. დარჩია, რ. ტალიაშვილი, ზ. ცინცაძე** (თბილისი). „სულორი" (ვანი) — „ივერია" (ხაშური). **თ. ხოფერიძე, ა. მანუკიანი, ტ. ნიშნიანიძე** (თბილისი). „მადნეული" (ბოლნისი)— „დურუჯი" (ყვარელი). **გ. ხეჩუაშვილი, მ. ჭელიძე, შ. ხანიაშვილი** (თბილისი). „სქური" (წალენჯიხა) — „მეტალურგი" (ზესტაფონი). **დ. გაგნიძე** (თბილისი), **დ. გვაზავა** (აბაშა), **გ. კახიანი** (სამტრედია). „სალხინო" (გეგეჭკორი) — „მეშახტე" (ტყიბული). **თ. კურტანიძე, თ. ლაცაბიძე** (თბილისი), **თ. მაჭარაძე** (წულუკიძე). „ეგრისი" (ცხაკაია) — „არმაზი" (მცხეთა). **გ. გაბისკირია, ო. გაგუა, ვ. ტორონჯიანი** (სოხუმი). „დინამო" (გაგრა) — „ქართლი" (გორის რ-ნი). **ტ. ნიშნიანიძე** (თბილისი), **ტ. ადეიშვილი, ზ. მაღრაძე** (ზესტაფონი). „დინამო" (ზუგდიდი) — „ბახტრიონი" (ახმეტა). **გ. თხელიძე, ი. კანდელაკი** (თბილისი), **ი. კვირკველია** (ჩხოროწყუ). „კოლხეთი" (ხობი) — „შადრევანი" (წყალტუბო). **კ. დავითიანი, ნ. შავიშვილი** (ბათუმი), **ვ. ჯიქია** (ქობულეთი). „მალაროელი" (ჭიათურა) — „ამირანი" (ოჩამჩირე). **ზ. ჯინჭარაძე, ა. კიკაბიძე** (მახარაძე), **მ. კობიაშვილი** (თბილისი).

**გათამაშების ცხრილი**

**I ჯგუფი**

**მდგომარეობა 18 ივლისისათვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სულორი" | 19 | 14 | 4 | 1 | 30-9 | 32 |
| „კოლხეთი" | 19 | 14 | 2 | 3 | 42-22 | 30 |
| „დინამო" ზ. | 19 | 10 | 8 | 1 | 36-15 | 28 |
| „შადრევანი" | 19 | 10 | 5 | 4 | 30-21 | 25 |
| „ამირანი" | 19 | 10 | 3 | 6 | 32-17 | 23 |
| „მადნეული" | 19 | 9 | 4 | 6 | 33-29 | 22 |
| „დინამო" გ. | 19 | 9 | 2 | 8 | 24-22 | 20 |
| „სამეგრელო" | 19 | 9 | 1 | 9 | 28-30 | 19 |
| „დურუჯი" | 19 | 6 | 7 | 6 | 22-24 | 19 |
| „საპოვნელა" | 19 | 7 | 4 | 8 | 28-24 | 18 |
| „მეშახტე" | 19 | 7 | 4 | 8 | 16-23 | 18 |
| „სპარტაკი" | 19 | 7 | 3 | 9 | 31-32 | 17 |
| „სალხინო" | 19 | 7 | 3 | 9 | 28-34 | 17 |
| „ბახტრიონი" | 19 | 6 | 4 | 9 | 21-27 | 16 |
| „ქართლი" | 19 | 6 | 4 | 9 | 23-33 | 16 |
| „ივერია" | 19 | 6 | 4 | 9 | 21-31 | 16 |
| „მეტალურგი" | 18 | 6 | 3 | 9 | 31-31 | 15 |
| „მალაროელი" | 19 | 6 | 3 | 10 | 23-30 | 15 |
| „ეგრისი" | 19 | 4 | 5 | 10 | 18-33 | 13 |
| ფიზკ. ინს. თბ. | 18 | 3 | 7 | 8 | 23-31 | 13 |
| „არმაზი" | 19 | 4 | 4 | 11 | 21-32 | 12 |
| „სქური" | 19 | 4 | 4 | 11 | 22-34 | 12 |

ის. 30-4 გვ.

აბიტურიენტი-88 ◉ მიმდინარეობს ჩათვლები ფიზიკურ მომზადებაში

# სტუდენტობა სტადიონიდან იწყება

**ამ დღეებში** ბათუმის „დინამოს" სტადიონზე ხალხმრავლობაა. სპორტულ ფორმებში გამოწყობილი ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებიც ჯერ აბიტურიენტებად იწოდებიან, სანუკვარი მიზნისაკენ — სტუდენტობისკენ — გზას სწორედ აქედან, სტადიონიდან იკვალავენ — მისაღები გამოცდების დაწყებამდე ხომ ფიზკულტურაში მომზადების სავალდებულო ნორმატივებია ჩასაბარებელი.

დიახ, დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე აქ უამრავ ახალგაზრდას იხილავთ. ცურვის მოყვარულებს კი ფართოდ გაუღო კარი ბათუმის ცენტრალურმა საცურაო აუზმა.

— შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში შექმნილია აბიტურიენტთა ფიზმომზადების საკონტროლო ნორმატივების მიმღები კომისია, — გვეუბნება ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე დ. ჯორბენაძე. — ადგილობრივი ახალგაზრდების გარდა, აქ მოდიან მახარაძელი, ლანჩხუთელი, ჩოხატაურელი, ფოთელი, სამტრედიელი, ცხაკაიელი, დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში მცხოვრები აბიტურიენტები. ისინი მარტო ბათუმში როდი აბარებენ მისაღებ გამოცდებს — ბევრი მათგანი რესპუბლიკის სხვა ქალაქების ინსტიტუტებში ცდის ბედს.

◉ **როგორია აბიტურიენტთა ფიზიკური მომზადების დონე?**

— გულახდილად გეტყვით: აშკარაა, რომ ჩვენს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ერთობ მოისუსტებს მოსწავლეთა ფიზიკური წრთობა. განსაკუთრებით ეს ითქმის გოგონებზე: მათ ძალზე უჭირთ ნორმატივების ჩაბარება 100 მეტრზე რბენაში. რაც შეეხება ცურვას, აქაც ჭაბუკები სჯობნიან გოგონებს. მოგეხსენებათ, ამ საბეობაში ნორმატივი დაწესებული არ არის, საკმარისია 50 მეტრის გაცურვა, მაგრამ ზოგიერთ გოგონას ამ მანძილის გაცურვა ძალიან უჭირს.

დღემდე ფიზმომზადებაში გამოვცადეთ 1000-ზე მეტი ახალგაზრდა. უმრავლესობამ წარმატებით გაართვა თავი ამოცანას, შერჩეულ სახეობებში დაწესებული ნორმატივები კი ყველამ ჩააბარა.

**ლევან ქავჟარაძე.**
**(„ლელოს" საკ. კორ.).**

ბათუმი.

# დაწინაურდა გურამ ბიგანიშვილი

**ტალინი.** დაიწყო ბალტიის ზღვის ტრადიციული საერთაშორისო რეგატა ყველა ოლიმპიურ კლასში. განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლაა მოსალოდნელი „ტორნადოს" ნავებით ცურვაში, ვინაიდან აქ, ამ რეგატის დამთავრებისთანავე დაიწყება მსოფლიო ჩემპიონატი, რომელზეც ჩვენი აფროსნები დიდ იმედებს ამყარებენ. „ტორნადოში" მთავარ ფავორიტებად ითვლებიან საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იური კონოვალოვი (ტოლიატი) და ბალტიის ზღვის შარშანდელ რეგატაში გამარჯვებული სერგეი პრიმაკი (ნიკოლაევი). პირველ რბოლაში წარმატება ხვდა პრიმაკს. კონოვალოვს მეორე შედეგი ჰქონდა.

„ვარსკვლავის" კლასის ოსტარტო რბოლაში უკვე ედას თბილისელმა გურამ ბიგანიშვილმა აჯობა, „სოლინგში" კი ვლადიმერ იგნატენკომ (შორეული აღმოსავლეთი).

პირველი რბოლები მოიგეს, აგრეთვე, „ფინის" კლასში — დირკ პიტელკოვმა (გდრ), „470"-ში — პეტერ შარაშკინმა (ტალინი), „მფრინავ ჰოლანდიელში" — ალექსანდრე შპილკომ (მინსკი). ბალტიის ზღვის რეგატა 17 ივლისს დამთავრდება.

# ოლიმპიური · ორიენტირით

**როტერდამი.** ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ კალათბურთელ ვაჟთა ოლიმპიურ ტურნირში მონაწილეობის უფლება საბჭოთა კავშირმა, იუგოსლავიამ და ესპანეთმა მოიპოვეს, ცნობილია ისიც, რომ ჩვენმა ნაკრებმა ბოლო მატჩში იტალიის გუნდი დაამარცხა. აი, ამ დღის სხვა შეხვედრები კი ასე დამთავრდა: იუგოსლავია — ესპანეთი 84:73, საბერძნეთი — გფრ 94:87, ინგლისი — საფრანგეთი — 91:76.

როგორ განაწილდა ადგილები ფინალურ ტურნირში?

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 7 | 7 | 0 | 14 |
| იუგოსლავია | 7 | 6 | 1 | 13 |
| ესპანეთი | 7 | 4 | 3 | 11 |
| იტალია | 7 | 4 | 3 | 11 |
| საბერძნეთი | 7 | 4 | 3 | 11 |
| ინგლისი | 7 | 2 | 5 | 9 |
| გფრ | 7 | 1 | 6 | 8 |
| საფრანგეთი | 7 | 0 | 7 | 7 |

როგორც ხედავთ, სამმა გუნდმა — ესპანეთმა, იტალიამ და საბერძნეთმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა, მათ შორის უპირატესობა მიენიჭა ესპანეთის ნაკრებს, რომელსაც ურთიერთშეხვედრებში უკეთესი ბალანსი ჰქონდა (+6). იტალიელებს აღმოაჩნდათ მინუს 2, ბერძნებს კი მინუს 4.

ტურნირზე აკრედიტებულმა ჟურნალისტებმა საუკეთესო მოთამაშედ შარუნას მარჩიულიონისი (სსრ კავშირი) დაასახელეს, საუკეთესო მწვრთნელად კი ალექსანდრე გომელსკი (სსრ კავშირი). იმავე ჟურნალისტებმა შეადგინეს ევროპის სიმბოლური ნაკრები, რომელშიც შევიდნენ: მარჩიულიონისი, დრაჟენ პეტროვიჩი, ვლადო დივაცი (ორივე — იუგოსლავია), ხოსე ჰიმენესი (ესპანეთი) და ანტონელო რივა (იტალია).

მოეწყო ოლიმპიური ტურნირის მონაწილეთა კენჭისყრა. **ვაჟები. პირველი ჯგუფი:** სსრ კავშირი, სამხრეთ კორეა, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, პუერტო-რიკო, ავსტრალია და იუგოსლავია. **მეორე ჯგუფი:** აშშ, ჩინეთი, ეგვიპტე, ბრაზილია, კანადა და ესპანეთი.

**ქალები. პირველი ჯგუფი:** სსრ კავშირი, სამხრეთ კორეა, ავსტრალია და ბულგარეთი. **მეორე ჯგუფი:** აშშ, იუგოსლავია, ჩინეთი და ჩეხოსლოვაკია.

გათამაშების სისტემა ვაჟებთან და ქალებთან ერთნაირია. თავდაპირველად ჩატარდება ჯგუფური ტურნირი ერთ წრედ. ნახევარფინალში ყოველი ჯგუფიდან ორი უძლიერესი გუნდი გავა. მერე კი შეხვედრები გაიმართება გამოთიშვის სისტემით.





ეს სურათები კი „ლელოს" კორესპონდენტმა ჭემალ კახრაძემ გადაიღო თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

## ევროპული ტურნირების წილისყრა

**ჟენევა, 12 ივლისი.** მოეწყო ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების 1988-89 წლების გათამაშების წილისყრა, რომელშიც მონაწილეობდა 133 გუნდი.

გათამაშების პირველი მატჩები მოეწყობა 7 სექტემბერს, ხოლო საპასუხო ტური გაიმართება თითქმის ერთი თვის შემდეგ, 5 ოქტომბერს. ეს გამოწვეულია იმით, რომ ამ პერიოდში სეულში ჩატარდება ოლიმპიური თამაშები.

წილისყრამ გამოავლინა საბჭოთა გუნდების მეტოქეები:

**ჩემპიონთა თასი**

„სპარტაკი" (მოსკოვი) — „გლენტორანი" (ჩრდილოეთ ირლანდია)

**თასების მფლობელთა თასი**

„ბორაცი" (იუგოსლავია) — „მეტალისტი" (ხარკოვი)

**უეფა-ს თასი**

„ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „აუსტრია" (ავსტრია)

„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)— „ბორდო" (საფრანგეთი)

„ტორპედო" (მოსკოვი) — „მალმე" (შვეცია)

„თრაკია" (ბულგარეთი) — „დინამო" (მინსკი)

ყველაზე ძლიერი მეტოქე დნეპროპეტროვსკის „დნეპრს" შეხვდა. ბოლო რვა სეზონია „ბორდო" საფრანგეთის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე დაბლა არ ჩამოქვეითებულა, ამ კლუბმა შარშან მეორე ადგილი დაიკავა ეროვნულ ჩემპიონატში.

ჩემპიონთა თასზე პირველი ეტაპის წყვილებში ნაკლებადაა ძლიერი მეტოქეები, თუმცა, მაინც საინტერესოა ბერლინის „დინამოსა" (გდრ) და ბრემენის „ვერდერის" (გფრ), ბულგარეთის „ვიტოშასი" და იტალიის „მილანის", უნგრეთის „ჰონვედისა" და შოტლანდიის „სელტიკის" შეხვედრები.

უეფა-ს თასზე ძლიერი მეტოქეები შეხვდნენ ერთმანეთს: „სპორტინგი" (პორტუგალია) — „აიაქსი" (ჰოლანდია), „გრონინგენი" (ჰოლანდია) — „ატლეტიკო" (მადრიდი, ესპანეთი), „ბაიერნი" (გფრ) — „ლეგია" (პოლონეთი), „ნაპოლი" (იტალია) — პაოკ (საბერძნეთი).

## საქართველოს პირველობა

### II ჯგუფი

**აღმოსავლეთი ქვეჯგუფი**

„მეტალისტი" (რუსთავი) — „სამგორი" (გარდაბანი) 4:0, „ვარძია" (ასპინძა) — „თორი" (ბორჯომი) 0:0, „აბული" (ახალქალაქი) — „მეფრინველე" (კასპი) 2:1, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — სსი (თბილისი) 4:1, „ალგეთი" (მარნეული) — „იმედი" (თბილისი) 2:2, „თრიალეთი" (წალკა) — „არაგვი" (დუშეთი) 1:2.

**დასავლეთი ქვეჯგუფი**

„ბახმარო" (ჩოხატაური) — „ოდიში" (ზუგდიდი) 4:2, „დარჩელი" (ზუგდიდის რ-ნი) — „დევაზზუ" (მახარაძე) 5:2, „ნარინჯი" (ქობულეთი) — „ჩიბათი" (ლანჩხუთი) 3:1, ხდკ (სამტრედია) — „ჩიხურა" (საჩხერე) 3:2, „მზიური" (გალი) — „კოლხეთი"-2 (ფოთი) 4:3, „ქიმიკოსი" (ამბროლაური) — პოლ. ინსტ. (ქუთაისი) 2:1.

### III ჯგუფი

**აღმოსავლეთი ქვეჯგუფი**

„ქიზიყი" (სიღნაღი) — „მიონი"-35 (თბილისი) 3:2, „ნაფარეული" (თელავი) — „ვარდისუბანი" (ლაგოდეხი) 0:0, „გარისი" (თეთრი წყარო) — „გარეჯი" (საგარეჯო) 1:0, „თუშეთი" (ახმეტა) — „განთიადი" (დმანისი) 1:0.

**ცენტრალური ქვეჯგუფი**

„ფეიქარი" (ხაშური) — „მშენებელი" (ჭიათურა) 0:1, „ცენტრმეტალურგმშენი" (ზესტაფონი)— „ბაგიათი" (ვანი) 6:1, „იბერია" (ქარელი) — „ლიახვი" (ცხინვალი) 3:1, „ფარვანა" (ბოგდანოვკა) — „ორპირი" (ტყიბული) 1:1, „მეშაქრე" (აგარა) — „ზარზმა" (ადიგენი) 2:0.

**დასავლეთი ქვეჯგუფი**

„ავტომობილისტი" (ბათუმი) — „კოლხიდა" (ქუთაისი) 2:2.

### II ჯგუფი

**აღმოსავლეთი ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „არაგვი" | 14 | 10 | 2 | 2 | 32-13 | 22 |
| „თორი" | 14 | 10 | 2 | 2 | 24-12 | 22 |
| „სსი-მუხრანი" | 14 | 9 | 4 | 1 | 33-15 | 22 |
| „კახეთი" | 14 | 9 | 3 | 2 | 23-14 | 21 |
| „მეტალისტი" | 14 | 8 | 3 | 3 | 35-12 | 19 |
| „მეფრინველე" | 14 | 6 | 1 | 7 | 20-22 | 13 |
| „იმედი" | 14 | 5 | 3 | 6 | 21-24 | 13 |
| „ვარძია" | 13 | 5 | 3 | 5 | 14-18 | 13 |
| „ალგეთი" | 14 | 5 | 3 | 6 | 16-23 | 13 |
| „ჰერეთი" | 14 | 4 | 5 | 5 | 23-23 | 13 |
| „სამგორი" | 14 | 6 | 0 | 8 | 29-31 | 12 |
| „სპი-დინ.-3" | 13 | 5 | 1 | 7 | 21-16 | 11 |
| „აბული" | 14 | 3 | 5 | 6 | 19-22 | 11 |
| „ფოსტამტი" | 13 | 3 | 4 | 6 | 23-31 | 10 |
| ახ. საფ. სკ. თბ. | 14 | 4 | 1 | 9 | 22-27 | 9 |
| „თრიალეთი" | 14 | 2 | 5 | 7 | 16-33 | 9 |
| უნივერს. თბ. | 13 | 3 | 2 | 8 | 16-32 | 8 |
| „მესხეთი" | 14 | 2 | 3 | 9 | 22-38 | 7 |

**დასავლეთი ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მზიური" | 14 | 11 | 3 | 0 | 37-15 | 25 |
| „საირმე" | 14 | 9 | 4 | 1 | 29-9 | 22 |
| „ნარინჯი" | 14 | 10 | 1 | 3 | 33-11 | 21 |
| „დევაზზუ" | 14 | 9 | 0 | 5 | 28-19 | 18 |
| „ჩიბათი" | 14 | 7 | 2 | 5 | 34-29 | 16 |
| „იმერეთი" | 14 | 6 | 3 | 5 | 25-20 | 15 |
| „ბახმარო" | 14 | 6 | 2 | 6 | 21-22 | 14 |
| „კოლხეთი-2" | 14 | 5 | 4 | 5 | 22-18 | 14 |
| პოლ ინს. ქ. | 14 | 5 | 3 | 6 | 16-19 | 13 |
| „ჩიხურა" | 14 | 4 | 3 | 7 | 19-28 | 11 |
| „ჩხერიმელა" | 14 | 3 | 5 | 6 | 20-28 | 11 |
| „დარჩელი" | 14 | 3 | 5 | 6 | 15-29 | 11 |
| „ოდიში" | 14 | 4 | 2 | 8 | 22-27 | 10 |
| „მამისონი" | 14 | 3 | 4 | 7 | 20-32 | 10 |
| „ქიმიკოსი" | 14 | 3 | 2 | 9 | 21-37 | 8 |
| „ხ. დ. კ." | 14 | 1 | 3 | 10 | 12-31 | 5 |

### III ჯგუფი

**აღმოსავლეთი ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ალაზანი" | 13 | 9 | 4 | 0 | 36-13 | 22 |
| „ვარდისუბ." | 13 | 9 | 1 | 3 | 27-14 | 19 |
| „თუშეთი" | 13 | 9 | 1 | 3 | 25-12 | 19 |
| „მიონი-35" | 13 | 8 | 2 | 5 | 26-17 | 18 |
| „გარისი" | 13 | 7 | 2 | 4 | 34-18 | 16 |
| „გარეჯი" | 13 | 6 | 3 | 4 | 23-17 | 15 |
| „შირაქი" | 14 | 5 | 4 | 5 | 15-16 | 14 |
| „სინ."-სპორტ. | 17 | 4 | 3 | 10 | 24-29 | 11 |
| სპი თბ. | 13 | 4 | 3 | 6 | 26-32 | 11 |
| „განთიადი" | 13 | 4 | 3 | 6 | 15-23 | 11 |
| „ნაფარეული" | 14 | 3 | 5 | 6 | 16-19 | 11 |
| „მარაბდა" | 13 | 4 | 2 | 7 | 20-24 | 10 |
| „კოლმეურნე" | 12 | 3 | 4 | 5 | 14-20 | 10 |
| „ქიზიყი" | 14 | 3 | 2 | 9 | 13-42 | 8 |
| „მეტალ.-2" | 12 | 2 | 1 | 9 | 15-33 | 5 |

**ცენტრალური ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მშენებელი" | 13 | 10 | 0 | 3 | 36-18 | 20 |
| „ზარზმა" | 13 | 8 | 2 | 3 | 33-16 | 18 |
| „იბერია" | 13 | 7 | 4 | 2 | 36-16 | 18 |
| „მევავეჯე" | 13 | 6 | 3 | 4 | 32-18 | 15 |
| „ცენტმეტ." | 13 | 5 | 5 | 3 | 30-19 | 15 |
| „ფეიქარი" | 13 | 5 | 5 | 3 | 18-14 | 15 |
| „ორპ." ტყრ. | 13 | 6 | 2 | 5 | 26-21 | 14 |
| „ფარვანა" | 13 | 6 | 2 | 5 | 22-18 | 14 |
| „ჭოგნარი" | 13 | 6 | 1 | 6 | 12-26 | 13 |
| „ავტომობილ" | 13 | 5 | 2 | 6 | 20-27 | 12 |
| „ლიახვი" | 13 | 3 | 5 | 5 | 12-20 | 11 |
| „ხვამლი" | 13 | 2 | 5 | 6 | 9-17 | 9 |
| „მეშაქრე" | 13 | 3 | 2 | 8 | 13-35 | 8 |
| „ქვემოჭალა" | 13 | 2 | 3 | 8 | 19-37 | 7 |
| „ბაგიათი" | 12 | 0 | 5 | 7 | 6-22 | 5 |

**დასავლეთი ქვეჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „უნივერსიტ." | 13 | 8 | 4 | 1 | 31-22 | 20 |
| „სუპტროპიკი" | 13 | 8 | 3 | 2 | 27-19 | 19 |
| „მელექედ." | 13 | 8 | 1 | 4 | 32-21 | 17 |
| „კახაბერი" | 13 | 5 | 5 | 3 | 16-12 | 15 |
| „ბეთლემი" | 13 | 5 | 5 | 3 | 15-13 | 14 |
| „ახალსოფელი" | 13 | 5 | 4 | 4 | 23-21 | 14 |
| „სპარტაკი" | 13 | 5 | 3 | 5 | 17-18 | 13 |
| „კოლხიდა" | 12 | 4 | 3 | 5 | 22-17 | 11 |
| „განთიადი" | 13 | 3 | 5 | 5 | 15-19 | 11 |
| „შახტიორი" | 13 | 2 | 7 | 4 | 15-23 | 11 |
| „ალიონი" | 13 | 4 | 2 | 7 | 17-26 | 10 |
| „ავტომობ." | 13 | 2 | 2 | 9 | 14-31 | 6 |
| „ზანა" | 13 | 1 | 4 | 8 | 16-28 | 6 |

**საქართველოს სსრ 1988 წლის თასის გათამაშების ფინალური ეტაპის მონაწილე კოლექტივები ვალდებული არიან რესპუბლიკის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს 25 ივლისამდე წარუდგინონ გუნდების განაცხადები, აგრეთვე, ტექნიკური ანგარიშები თასის პირველი ეტაპის შეჯიბრებათა ჩატარების თაობაზე. განაცხადი, წერილობითი ანგარიში და ცხრილი დამოწმებული უნდა იყოს ადგილობრივი სპორტკომიტეტების მიერ.**

## „უ-შუს" მოყვარულთა და ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

დღეს, 18 საათსა და 30 წუთზე თბილისში საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის ცასახლეში (წერეთლის გამზირი, 95-ა) ყველა მსურველს შეუძლია გაეცნოს თანამედროვეობის ერთ-ერთ პოპულარულ მიმდინარეობას „უ-შუს" — ჩინურ ტანვარჯიშს.

საჩვენებელი ვარჯიშებით გამოვლენ გამოყენებითი და სამხედრო ხელოვნების სტუდიის წევრები დაღესტნის ლენინური კომკავშირის სახელობის პრემიის ლაურეატ ჰუსეინ მაჰომაევის ხელმძღვანელობით.

## „სპორტპროგნოზი"

**28-ე ტირაჟის შედეგები**
**(9-10 ივლისი)**

1—1, 2—1, 3—2, 4—1, 5—1, 6—1, 7—2, 8—X, 9—2, 10—2, 11—1, 12—1, 13—X.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

რედაქტორი
**თ. ბაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10806